პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 36 (14032) | სამშაბათი, 13 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

• ეს მოხდა გუშინ

ახალი ნაწარმი

ქუთაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ. შ. ჯავახაძე). გუშინ რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა გათვალისწინებული გრაფიკის მიხედვით პირველად გამოუშვა ახლად ათვისებული ნაწარმი — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის საავტომობილო ქარხნისათვის დაამზადა ავტომანქანის კაბინის მინის შემამჭიდროები რეზინი და პირველი პარტია — 500 კილოგრამი ასეთი რეზინი გაუგზავნა ავტომშენებლებს.

გუშინვე წარმატებით გაიარა ლაბორატორიული გამოცდა სარეცხი მანქანა „თოლიასათვის“ საპირო თეთრი რეზინის ლილვაკის პირველმა ნიმუშებმა, რომელიც ათვისების პროცესშია და რომელსაც ქარხანა ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნისათვის დაამზადებს.

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს დაკვეთით **გუშინ** ქარხანამ დიელექტრიკული დენგაუმტარი თვისებების 8.000 ცალი ლიანდაგის რეზინის საფენი გადაგზავნა დანიშნულებისამებრ.

გუშინვე რეზინის რამდენიმე დასახელების ტექნიკური ნაწარმი გადაიგზავნა მინსკისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანასა და ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში. დღიური დავალების გადამეტებით გამოშვებულ იქნა 1.100 მანეთის პროდუქცია. ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაში თავი გამოიჩინეს ცვლის უფროსებმა ი. ბანძელაძემ და ვ. მინდიაშვილმა, მეაპარატე მუშებმა ჯ. ოსეფაშვილმა, ო. კეკელიამ, ი. უგრიკმა და მ. მიქაძემ.

კონსერვები — ვაგონობით

სოხუმი. (ტელეფონით. „კომუნისტის“ საკ. კორ. ი. გოგბერიძისა). ხაკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც სულ უფრო აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, წარმატებით გაანალდა იანვრის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ხილისა და ციტრუსების მურაბა, ჯემი, ხილფაფა, კომპოტები და სხვა პროდუქცია. მარტო იანვარში ქარხანამ 36 ვაგონი ხილის კონსერვი გაგზავნა ხაბაროვსკში, ბლაგოვეშჩენსკში, ამურის კომსომოლსკსა და სხვა ქალაქებში.

ქარხანაში ამას წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა წვენის დასამზადებელი ახალი მძლავრი ავტომატური ხაზი, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა ქარხნის წარმადობა და აამაღლა შრომის ნაყოფიერება.

— ჩვენი კოლექტივი, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ქარხნის დირექტორმა პ. ცანავამ, — წელს ახალი სახის სხვადასხვა პროდუქციას გამოუშვებს. ამჟამად მიმდინარეობს ციტრუსების ნაყენის ათვისება, რომლის სერიულ გამოშვებასაც წლის მეორე ნახევრიდან შეკუდგებით.

ქარხანა წარმატებით მუშაობს თებერვალშიც. ამ დღეებში ქალაქ ბელგოროსკში გაიგზავნა 25 ქილა სოხუმური ჯემი, მურაბა, კომპოტი და სხვ. ვარეთვე მოსკოვის, ლუგანსკის და ციროვსკის საკონდიტრო ფაბრიკებს გაეგზავნა 7 ტონა ნახევარფაბრიკატები.

გუშინ სოხუმის საკონსერვო ქარხანამ ხაბაროვსკისა და ხარატოვის მშრომელებისათვის გაგზავნა 6 ვაგონი ხილის კონსერვი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲑᲐᲛᲑᲔᲣᲚᲘᲡ საქსოვი ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრე მკვეთრად იზრდება. ამას წინათ მარტო საქსოვ საამქროში დაიდგა 10 ახალი ავტომატური საქსოვი დაზგა და ორი ავტომატური ხახვევი მანქანა 200 თითისტარით.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ქარხნის მარტო № 8 ღუმელმა ჩქაროსნულ ნადნობთა ბარჯზე წლის დამდეგიდან უკვე გამოუშვა ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ფოლადი.

მახარაძის ფაიფური

მახარაძე. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). აქაური ფაიფურის ქარხანა ჩვენს რესპუბლიკაში ერთადერთია, რომელიც დაბალი ძაბვის ელექტროტექნიკურ იზოლატორებს უშვებს. ქარხანამ ახალი სამეურნეო წელი კარგი შედეგით დაიწყო, იანვრის დავალება 104 პროცენტით შეასრულა.

გუშინ ქარხანამ გამოუშვა „ტფ-16“ ტიპის 500-მდე დაბალი ძაბვის ელექტროიზოლატორი.

გუშინვე 86 კასრით ქალაქ ბელგოროდში გაიგზავნა 9.783 ცალი ასეთი მარკის ელექტროიზოლატორი. როგორც ქარხნის დირექტორმა თ. ქილიფთარმა და მთავარმა ინჟინერმა ნ. სურგულაძემ აღნიშნეს, ამ დღეებში იზოლატორები გაიგზავნება აგრეთვე აზერბაიჯანში, უკრაინაში, მოლდავეთსა და სხვა რესპუბლიკებში. პროდუქციის ასეთი დიდი რაოდენობით გამოშვებას ხელს შეუწყობს ის, რომ აქ ახლახან დაიდგა ავტომატური დანადგარი, რომელიც ცვლაში გაათავისუფლებს 6 მუშას და ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 200 ცალ იზოლატორს.

154.000 მანეთი მოგება

თელავი. (საკ. კორ.). ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის თავდადებულად შრომობს ტყიბულელების კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი პ. კაკაჩიშვილი უძღვება.

ენერგეტიკოსებმა საიუბილეო წელს სამშობლოს მისცეს ათ მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 154.000 მანეთი მოგება, აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, წარმოების კულტურა და მანქანა-დანადგარების გამოყენების კოეფიციენტი.

ენერგეტიკოსებმა გამართულად დაიწყეს ახალი სამეურნეო წელიც. მათ საბალანსო მეურნეობას უკვე მილიონობით კილოვატ-საათი ელექტროენერგია მიაწოდეს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ცეკავშირის საწარმოო კომბინატის ტანსაცმლის შემფუთავ საამქროში სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა ნარგიზა მამალაძე, რომელმაც მალე აითვისა მკერავის პროფესია. ახლა კი მოწინავეთა რიგებში დგას და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ნ. მამალაძე.

ფოტო ვ. გენგიურისა.

სახალხო, საშვილიშვილო საქმე

გავუფრთხილდეთ ჩვენს საგანძურს

მწერალი — ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

უბრალო ფარდულსა თუ დაჭრელებულ ჯიხურს, სადაც გაზიანი წყლით ან სიგარეტით ვაჭრობენ, როგორც კი სამუშაო საათები დამთავრდება, ისეთ უზარმაზარ ძველებურ კლიტეს დაადებენ, ან ინგლისური ჩასაკეტით ისე დაკეტავენ, რომ შიგ ეშმაკი ვერ შეაღწევს. რა ფასის საქონელი ინახება იმ ცხრაკლიტულში? ბევრი-ბევრი 50 მანეთის, თუნდაც ასი მანეთის იყოს, მათი საბრუნავი თანხა იშვიათად რომ ამ ციფრს აცილდეს.

მაგრამ არის ერთი უზარმაზარი საწყობი, სადაც ისეთი განძი ინახება, ისეთი საუნჯე, რომ მას ფასს ვერ დასდებ, ვერავითარი მილიონებით და მილიარდებით მის ღირებულებას ვერ გამოხატავ; და, იმავე დროს, ამ უზარმაზარ „საწყობს“ არავითარი ღობე არა აქვს შემოვლებული, ღია ცის ქვეშ არის და უნდა იყოს საუკუნეების მანძილზე; ეს ჩვენი ბუნებაა, საქართველოს უფფფენერესი მიწა-წყალი, ანუ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, „მთანი და ტყენი აურაცხელითა ყვავილითა, მწვანითა და სურნელითა აღსავსე, ტყენი სხვადასხვა ხითა მშვენიერითა ჭალათა და მთათა შინა“, ესაა „ქვეყანა შვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ“, ესაა „ნადირნი ტყეთა და ველთა: ირემი, ქურციკი, ჯიხვი, მშველი, არჩვი, თხა, კურდღელი, ვეფხვი, დათვი, ღორი, მაჩვი, მწავი, მთახვი, ძღარბი და სხვანიცა... კვალად ფრინველნი ველთა და ტყეთა: წერო, ყარახილა, ბატი, შავი ბატი, იხვი, აკური, ვარხვი, ღალღა, ლაინა, ხოხობი, კაკაბი, დურეჯი, გნოლი, როჭო, შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კიოტი, ტყის ქათამი, სავათი, ტრედი მრავალგვარი, გვრიტი, გუგული, ოფოფი, შაშვი, შრიშანი, ტარბი, კოლინზური, ბულბული, ყაზალახი, მალაღური, ჩიტნი და სირნი მრავალგვარნი, შვენიერ-ჭრელნი და მომღერალნი მრავალნი“.

ასე იწყებს ვახუშტი თავის განთქმულ წიგნს „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“, იწყებს დიდ წიგნს საქართველოზე და პირველად მის ტყეებსა და მათში მობინადრე მომღერლებს ახსენებს; ჩამოთვლის და შეჰხარის იმ დიდი სიამაყით, იმ დიდი სიხარულით, რომელიც მარტო სამშობლოს მოყვარულ გულში დაეტევა ხოლმე.

არ არის საჭირო სიტყვის გაგრძელება იმაზე, თუ რას ნიშნავს ჩვენი ხალხისათვის, მისი ისტორიისა, აწმყოსა და მომავლისათვის ეს ულამაზესი წალკოტი, ეს დიდი საგანძური. მე აქ სხვა რამ მინდა აღვნიშნო; ალბათ შენიშნეთ, ვახუშტის მიერ ჩამოთვლილ ფრინველთა შორის ნახსენები იყო ერთი უმნიშვნელო ჩიტიც — ტარბი და მეც ჩემი სათქმელი აქედან მინდა დავიწყო.

ამ თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის წინ შირაქსა და ტარიბანას განსაცდელი დაემუქრა: საიდანღაც გაჩნდა კალია, რომელიც ამ მწვანედ აღაღანებულ მინდვრებს უდაბნოდ გადაქცევას უპირებდა. მაგრამ ბუნებას აქვს თავისი კანონზომიერება, თავისი რაღაც საოცარი ჰარმონია, ერთი შეხედვით, რაღაც აუხსნელი სიგნალები; და აი ამ კალიას თან მოჰყვა ტარბი, აუარებელი, აურაცხელი. ველარსად ეტეოდნენ, თითო ხეზე და ბუჩქზე ათ-ათი იკეთებდა ბუდეს. მერე შეესივნენ ეს ფრინველები კალიას, მაგრამ როდი სჯამდნენ. ან რათ უნდოდათ ამდენი საჭმელი? ხოცავდნენ და იქვე ჰყრიდნენ; როცა ცხიმისაგან ისე გაეპოხებოდათ ნისკარტი, რომ ბრძოლას ვეღარ ახერხებდნენ, უმალ, გუნდგუნდად გაფრინდებოდნენ ივრისაკენ, დასხდებოდნენ მდინარის პირას, ჩაჰყოფდნენ წყალში ნისკარტებს და საგულდაგულოდ მოიბანდნენ და ისევ მინდორში ბრუნდებოდნენ.

ამჟამად კალიასთან საბრძოლველად ჩვენს აგროტექნიკას საკმაოდ ეფექტური და რადიკალური საშუალებები აქვს, ჩვენი ყანები ახლა მარტო ტარბის იმედით აღარ არიან, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ გაგიხარდეს კაცს, როცა მინდვრად თუ ბუჩქნარებში ამ მერცხლივით ჭრელ ფრინველს მოჰკრავ თვალს; დიახ, ტარბა ახლაც საკმაოდ შეგხვდებათ ჩვენს მინდორველებზე; როგორღაც გადაურჩნენ ისინი მონადირეთა თოფებს. როგორ მოხდა ეს, რა სასწაულით? თურმე ყველაფერი უბრალოდ აიხსნება: ტარბი არ იჭმევა, მეტად უგემური ხორცი აქვს.

მაგრამ ვაი იმისი ბრალი, ვისი ხორციც გემრიელია? ვაი მწყრისა და კაკბის, ვაი იმ ფრინველთა და ნადირთა ბრალი, რომელნიც ე. წ. „სანადირო სპორტის“ მუდმივი მსხვერპლი არიან.

ბოლო ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ მრავალი ღონისძიება დასახეს საქართველოს ფლორისა და ფაუნის დასაცავად. მინისტრთა საბჭომ ამ ხუთი წლის წინ სპეციალური დადგენილება გამოიტანა სამონადირეო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე. ყოველივე ამან კარგი და კეთილი ნაყოფი გამოიღო, მან დარაზმა ჩვენი ხალხი და აამოქმედა იგი სამშობლოს ბუნების დასაცავად. მაგრამ, იმავე დროს, ბევრმა მაინც ვერ მოიშალა თავისი უწესო საქციელი და ვერ მიხვდა, თუ რა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საქართველოს ბუნებას ყოველი უგუნური გასროლა.

აქ მარტო ბრაკონიერებზე როდია ლაპარაკი. ლაპარაკია ყველა თოფიან კაცზე, რომელიც განუკითხავად დაჰქრის მთელ საქართველოში და თოფი შემართული უჭირავს, თუ გინდაც მას უბეში მონადირეთა კავშირის წიგნაკი ედოს და ძაღლიც დიპლომირებული ჰყავდეს პირველი თუ მეორე ხარისხის დიპლომით; ათასობით ადამიანები მატარებლით, მსუბუქი თუ სატვირთო მანქანით, მიეშურებიან მინდვრად და ტყეში, რათა გააჩანაგონ და გაანადგურონ ხალხის საუნჯე და საგანძური. განა მოსათმენია, რომ საქართველოს მინდვრებში მწყრის ჭუკჭუკი აღარ ისმის, რომ ასე სანთლით საძებნელი გახდა გნოლი და კაკაბი, როჭო და ტყის ქათამი! ორი წლის წინ დავით გარეჯის მინდვრებში მომიხდა ყოფნა — მე მონადირე არ გახლავართ, ისე, სეირის საყურებლად წამიყვანეს. მთელი დღე ვიარეთ მინდორსა და ბუჩქნარებში და ამ მონადირეებმა თოფი ვერ გაისროლეს, არც ფრინველისა და არც ნადირის ჭაჭანებაც არსად იყო. ბოლოს, შინ რომ ვბრუნდებოდით, რაღაც ფრინველი შემოჯდა ტელეგრაფის ბოძზე; ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა ესროლა და ჩამოაგდო. როცა მივუახლოვდით, ვნახეთ, მიმინო იყო. ასეა, ესვრიან ყველაფერს, წარმოიდგინეთ, ჩხიკვსაც კი, ეს უკვე ისე, გასართობად, თავშესაქცევად, ოღონდ სროლის სურვილი მოიკლან.

ამ საკითხთან განუყრელად არის დაკავშირებული ტყეების დაცვის საქმეც. ტყე თუ არ იქნება, სად უნდა დაიბუდოს ფრინველმა? „ტყე ჭიაურის ჯიქურ ჯიღად უდგას ალაზანს, გველეშაპს მზეზე გაზმორებულს და უცხვირპიროს“, წერდა სანდრო შანშიაშვილი ლექსში „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“. ნეტავ თუ იცის ჩვენმა მოხუცმა პოეტმა, რომ მისი ლექსი ასე ნაადრევად მოძველდა. ჭიაურის ტყე აღარავითარ ჯიქურ ჯიღად არ უდგას ალაზანს, ის თითქმის აღარ არსებობს. ჭიაურში 600 ჰექტარი ტყე და ბუჩქნარი ისე ამოძირკვეს, რომ მცირე წარაფებიც აღარ დაუტოვეს ხოხბებს თავის შესაფარებლად. ჭიაურს ცოტა ზემოთ, ლელის სანადირო მეურნეობაში 1.000 ჰექტარი ტყე და ბუჩქნარი გაჩეხეს და გადახნეს, იქ ცოტაოდენი ტყე კიდევ დარჩა და იმასაც დიდი დღე აღარ უწერია. ასეთივე მდგომარეობაა ზუგდიდის, ცხაკაიას და ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

ოდესღაც ჩვენი ხალხი მღეროდა:

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო,
დიდო ალაზნის ჭალაო,
ირემო იალაზედა,
ივრის პირებზე ჩალაო.
ბარდებში მძრომო ხოხობო,
ტურფაო, ხარისთვალაო,
შირაქო, ცხვრების დედაო,
ზედ ჯვირნების ფარაო!

მოდით წყალში ნუ ჩავუყრით ამაგს იმ ადამიანებს, რომლებმაც სულზე მიუსწრეს ხოხობსაც, ირემსაც და ჯვირანსაც და საქართველოს ბუნების ეს მშვენებანი სამუდამოდ გაქრობას გადაარჩინეს, მოაწყეს სამონადირეო მეურნეობები, ნაკრძალები. ისინი თავს დაჰკანკალებენ ყოველ ბარტყს, ყოველ წიწილას, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ხოხობი შინაური ფრინველი არ არის, ის მაყვლიანებში, ბარდებში უნდა დაძვრებოდეს და ირემიც იალაღზე უნდა იალაღობდეს, როგორც ადრე იყო, როგორც ბუნებასა და გამჩენს დაუდგენია.

ფლორისა და ფაუნის დაცვა — ეს საყოველთაო სახალხო საქმეა; ეს ქვეყანა მარტო ჩვენი არ არის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისაც არის. საბჭოთა ცხოვრების ეთიკური ნორმები მოითხოვენ ვიყოთ არა მარტო მომხმარებელნი იმისა, რაც ზენაპრებმა გადმოგვცეს, არამედ დამცველნიც, აღმდგენელნიც და მშენებელნი.

ეს ჩვენი პატრიოტული ვალია და ეს უნდა ახსოვდეს დიდსაც და პატარასაც.

ᲤᲐᲣᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲯᲔᲐ

უ ტანი მოსკოვში ჩამოვიდა

11 თებერვალს მოსკოვში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი.

იმავე დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა სადილი გამართა უ ტანის პატივსაცემად. სადილზე გამართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საღამოს უ ტანი და ა. ნ. კოსიგინი დაესწრნენ სპექტაკლს სსრ კავშირის დიდ თეატრში.

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა უ ტანს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 12 თებერვალს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ლ. ი. ბრეჟნევი და უ ტანი შეეხნენ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ზოგიერთ საკითხს. (საკდესი).

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Უ ᲢᲐᲜᲡ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 12 თებერვალს კრემლში მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი.

ა. ნ. კოსიგინსა და უ ტანს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საუბრის დროს ისინი შეეხნენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის საკითხებს. (საკდესი).

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

მეტი ყურადღება შრომის მეცნიერულ ორგანიზაციასა და ნარმოების კულტურას

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების სპეციალისტთა მონაწილეობით შეამოწმა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მდგომარეობა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში. ამ ბოლო წლებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ტექნოლოგიის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რის შედეგად გაუმჯობესდა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. მაგრამ, ქარხანაში ჯერ კიდევ იკარგება ბევრი სამუშაო დრო, არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მოწყობილობასა და სატრანსპორტო საშუალებებს, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის გადიდების დიდი რეზერვია.

1967 წლის იანვარში ქარხანაში შეიქმნა ეკონომიური ანალიზის ლაბორატორია და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საამქრო სამსახურები. მაგრამ, ვიხაიდან მათ არ გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა, სამი თვის შემდეგ ისინი დაამალნენ. ქარხანაში სისტემატიურად არ სწავლობენ და არ იხილავენ თითოეული პროფესიის მიხედვით სამუშაო ადგილების მდგომარეობას, არ ახორციელებენ ღონისძიებებს სამუშაო ადგილის სწორი დაგეგმვისათვის, დანერგილი არ არის სამუშაო ადგილის ზუსტად რეგლამენტირებული მომსახურების სისტემა — ინსტრუმენტების, მასალებისა და ნამზადის მიწოდება. დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების შესწავლა და გავრცელება.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ოპტიმალური კლიმატური პირობების შექმნას შრომის გაჯანსაღებისათვის, სამუშაო ადგილების რაციონალური განთავსებას, ჰაერის გაჯერებულობის, მავნე გამოსხივებების, ხმაურის და ვიბრაციის წინააღმდეგ ბრძოლას, აგრეთვე მუშაკთა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

ჯერ კიდევ დიდი მასშტაბით იყენებენ მოძველებულ საცდელ-სტატისტიკურ ნორმებს, ცალკეულ საწარმოო უბნებში ჭარბობს ხელის შრომა.

ეს ნაკლოვანებანი იწვევენ მუშაობის რიტმის დარღვევას, წუნდებული პროდუქციის გამოშვებას, მუშების დენადობასა და დიდძალი სამუშაო დროის დაკარგვას.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ხელმძღვანელობა საკმაოდ უურადღებათ არ ეკიდება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს, წარმოების კულტურის ამაღლებას.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დავალებათა შეუსრულებლობისა და ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის მეთითით ქარხნის დირექტორს ი. იმერლიშვილსა და მთავარ ინჟინერს ა. გოგიას.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა დაავალა ი. იმერლიშვილსა და ა. გოგიას გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით მოამზადონ სპეციალისტები და აამაღლონ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ცოდნის დონე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში. უფრო ფართოდ გამოიყენონ იმ პირთა წახალისებისა და სტიმულირების ფორმები, რომლებიც მუშაობენ წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებანი შეიტანონ წარმოების განვითარების და ხელმძღვანელობის საერთო გეგმაში, გააძლიერონ საამქროების ხელმძღვანელთა, ტექნიკური განყოფილებისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა პასუხისმგებლობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის, გააუმჯობესონ შრომის დანორმვის სამსახური, გადასინჯონ გამომუშავების მოძველებული საცდელ-სტატისტიკური ნორმები, შექმნან ოპტიმალური კლიმატური პირობები, რაციონალურად გადანაწილონ სამუშაო ადგილები, მოსპონ ჰაერის გაჯუჯყიანება, გააუმჯობესონ მუშების სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყონ ქარხნის გზების, ტერიტორიის, სპორტული მოედნების კეთილმოწყობა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა დაავალა ლენინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავჯდომარეს ლ. მგელაძეს გააუმჯობესოს ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში, უზრუნველყოს მისი მოთხოვნების შესრულება.

მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს დაევალა აქტიური მონაწილეობა მიიღოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის იმ ღონისძიებათა დანერგვაში, რომლებიც ინსტიტუტმა შეიმუშავა.

თბილისის საქალაქო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურს მიეცა წინადადება გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობა ქარხნის საამქროებისა და საწარმოო უბნებისადმი, განაორძოცელოს ღონისძიებანი გამოვლენებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი, რომ დაეხმაროს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანას საწარმოს რეკონსტრუქციის დაჩქარების საქმეში, განსაკუთრებით საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციითა და მოწყობილობით უზრუნველყოფის საქმეში. (საკდესი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIII საქალაქო კონფერენციის დელეგატებს საყურადღებოდ

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXIII საქალაქო კონფერენცია

გაიხსნება 1968 წლის 16 თებერვალს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

კონფერენციის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 1968 წლის 15 თებერვლამდე ყოველდღე დილის 10 საათიდან 20 საათამდე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში (შ. ჩიტაძის ქუჩა, 2); 16 თებერვალს — დილის 9 საათიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

სამახსოვრო ბარათი გადაეცა

10 თებერვალს საბჭოთა კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ა. დობრინინმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა სამახსოვრო ბარათი იმ კატასტროფის გამო, რომელიც ა. წ. 21 იანვარს განიცადა ამერიკის სტრატეგიული ავიაციის ბომბდამშენმა „ბ-52“. ოთხი წყალბადის ბომბით აღჭურვილი ეს ბომბდამშენი ცდილობდა დაშვებულიყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ტულეს ბაზის აეროდრომზე, მაგრამ ჩამოვარდა ჩრდილოეთ ვარსკვლავის ყურეს რაიონში გრენლანდიის დასავლეთ სანაპიროსთან. კატასტროფის შედეგად ბომბები ნაწილ-ნაწილად გაიპო და მოხდა რადიოაქტიურ ნივთიერებათა გაღვინება. რადიოაქტიური მოწამვლის საფრთხე გრენლანდიის ნაპირებთან ფრიად სერიოზულია. ეს საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდება, როცა რადიოაქტიურ ნაწილაკებს წაიღებს ზღვის ღინები და გაავრცელებს ატლანტიკის აკვატორიაში.

ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედება, რაც პირველად როდი იწვევს ზღვის სივრცეების რადიოაქტიურ მოწამვლას, ხაზგასმულია სამახსოვრო ბარათში, არღვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებსა და ნორმებს. ეს მოქმედება ეწინააღმდეგება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოსკოვის 1963 წლის ხელშეკრულების მიზნებს, არღვევს ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციას, რომლის მონაწილეც არიან შეერთებული შტატები.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო ტულედან იუწყება, თვითეული ოთხთაგანი წყალბადის ბომბის სიმძლავრე, რომლებიც „ბ-52“ ბომბდამშენს მიჰქონდა, შეადგენდა 1,1 მეგატონას. თუნდაც ერთ-ერთი ასეთი ბომბის აფეთქება 50-ჯერ უფრო ძლავრი იქნებოდა იმ ბომბის სიმძლავრეზე, რომელმაც ადგილი პირისაგან მიწისა ხიროსიმა. ამგვარი კატასტროფა შესაძლოა არა მარტო გრენლანდიაში, არამედ აგრეთვე დედამიწის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებშიც, რამდენადაც ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები, როგორც ცნობილია, აწყობენ ფრენას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ვის შეუძლია თავდებობა, რომ ახლანდელ, ისედაც დაძაბულ ვითარებაში, ასეთ ატომურ აფეთქებას არ მოჰყვებოდა მთელი ჯაჭვი შეუცვალი, მთელი კაცობრიობისათვის საშიში მოვლენებისა?

საბჭოთა მთავრობას თავის მხრივ არაერთხელ გაუფრთხილებია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმის შესახებ, თუ რა სერიოზულ საფრთხეს ქმნის ატომური იარაღით აღჭურვილ ბომბდამშენთა ფრენა ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ. მაგრამ, როგორც მოწმობს, კერძოდ, ამერიკის „ბ-52“ ბომბდამშენის ახალი კატასტროფა გრენლანდიის ნაპირებთან, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ გამოუტანია ჯეროვანი დასკვნები.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია სამახსოვრო ბარათში, კვლავ მიაქცევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღებას, რომ ატომური იარაღით აღჭურვილ ამერიკის ბომბდამშენთა ფრენას საშიში და გამომწვევი ხასიათიც კი აქვს, განსაკუთრებით როცა ეს ხდება საბჭოთა კავშირის საზღვრების ახლოს. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით ამერიკის ბომბდამშენთა ეს ფრენა უაზროა რაკეტულ-ატომური იარაღის არსებობის პირობებში. მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი: გაამწვავოს საერთაშორისო დაძაბულობა, ამასთან ანგარიში არ გაუწიოს, რა შედეგები მოჰყვება ამას ხალხთა უშიშროებისათვის, კაცობრიობის ბედისათვის. გასაგებია, რომ მთელი პასუხისმგებლობა ასეთი მოქმედების გამო სავსებით და მთლიანად ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. (საკდესი.).

ხალხთა უშიშროებას საფრთხე ემუქრება

ვარშავა, 12 თებერვალი. (საკდესი). „სსრ კავშირი აფრთხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვეტოს ატომური ბომბებით აღჭურვილ თვითმფრინავთა ფრენა სხვის ტერიტორიებზე“, „ატომური იარაღით აღჭურვილ ამერიკულ თვითმფრინავთა ფრენა საფრთხეს უქმნის ხალხთა უშიშროებასა და კაცობრიობას“. „ცეცხლთან უაზრო თამაში“ — ასეთი სათაურებით ვარშავის გაზეთები ათავსებენ დღეს საბჭოთა კავშირის სამახსოვრო ბარათს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისადმი გრენლანდში მომხდარი „ბ-52“-ის კატასტროფასთან დაკავშირებით.

პრაღა, 12 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობა კვლავ მიაქცევს ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღებას ამერიკის ბომბდამშენთა ფრენის საშიშ ხასიათს, ხაზგასმით აღნიშნავენ დღეს ჩეხოსლოვაკიის გაზეთები, რომლებსაც მოაქვთ შინაარსი საბჭოთა კავშირის სამახსოვრო ბარათისა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისადმი.

მოაშორეთ „ბ-52“ ოკინავას!

ტოკიო. რიუკიუს კუნძულების საკონსულტაციო კრების დეპუტატებმა აქ გამართულ სხდომაზე ერთხმად მოსთხოვეს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ დაუყოვნებლივ წაიყვანოს ოკინავიდან „ბ-52“ ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენები. რეზოლუცია, რომელიც სხდომაზე მიიღეს, შეიცავს აგრეთვე პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ოკინავა გადააქციონ ვიეტნამზე თავდასხმის ბაზად.

(საკდესი).

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 12 თებერვალი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებლ ბრძ ეროვნული ფრონტის ალამი უკვე ორი კვირაა ფრიალებს ქალაქ გუეს ძველ ციხეზე. როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ხაიგონიდან, სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები ინარჩუნებენ ნანგრევებად ქცეული ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილს. ქალაქის სამხრეთ ნაწილში ჩასაფრებული არიან ამერიკა-საიგონის ჯარები, სრულიად მოწყვეტილი თავიანთი მომარაგების ბაზებს. ბრძოლები ქალაქის მისადგომებზე და თვით ქალაქ გუეში კვლავ გააფთრებით წარმოებს. მთელ გზებსა და წყლის არტერიებს კონტროლს უწევენ განთავისუფლების ძალები. ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ახალი მაშველი ძალები გუეში გადაჰყავთ მხოლოდ ვერტმფრინავებით, რომლებსაც ცეცხლს უშენენ პატრიოტები.

როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, საიგონში კვლავ დაძაბული ვითარებაა. მედგარი ბრძოლა წარმოებდა გუშინ სამ კილომეტრზე დედაქალაქის ცენტრის ჩრდილოეთით, იპოდრომის რაიონში. განთავისუფლების ძალების

მოლაპარაკება ბონში

ბონი, 12 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ დაიწყო ამერიკა-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკება, „რომლის მსვლელობაში განიხილავენ საკითხთა ფართო წრის შესახებ, რომ ბონმა „ვალუტით ანაზღაურის“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფი ამერიკის 250-ათასიანი არმიის შესანახი ხარჯები.

სამხრეთი ვიეტნამი. ბრძოლები ქალაქ გუეში. სურათზე: ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები, რომლებსაც უეცრად დაატყდათ თავს პარტიზან სნაიპერთა ცეცხლი, ცდილობენ თავი შეაფარონ ტანკის ჯავშანს.

ტელეფოტო იუპი-საკდესისა.

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ბატონყმური იგრძვიან

რომი, 12 თებერვალი. (საკდესი). საბერძნეთში არ ცხრება ბრძოლა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ. გაზეთმა „უნიტამ“ მიიღო საბერძნეთის პატრიოტული ფრონტის ბიულეტენი, რომელიც არალეგალურად გამოდის. ბიულეტენში ნათქვამია, რომ გაზეთ „აკროპოლისის“ სტამბის მუშებმა გამოაცხადეს საპროტესტო გაფიცვა იმის გამო, რომ ძალაში შეჰყავთ ახალი საგადასახადო კოდექსი.

ათენის უნივერსიტეტში სტუდენტთა არალეგალური ორგანიზაცია „რიგას ფერაიოსი“ აქტიურ საქმიანობას ეწევა ხუნტის, რეჟიმის წინააღმდეგ ძალების დარაზმვისათვის. ორგანიზაციის წევრები ავრცელებენ პლაკატებსა და ფურცლებს, მოუწოდებენ სტუდენტებს პროტესტის ნიშნად არ დაესწრონ ლექციებს.

პატრიოტული ფრონტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ საჭიროა დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიციის მთელი ძალების ერთობა და გადაჭრით გმობს საბერძნეთის მეფის ცდას კომპრომისს მიაღწიოს პოლკოვნიკთა რეჟიმთან, რასაც მხარს უჭერს შეერთებული შტატები.

კიდევ ერთი აღიარება

ფხენიანი, 12 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის საჰაერო გემის „პუებლოს“ რადიოდაჭერის სპეციალისტმა რობერტ ჯეიმს ჰამონდმა აღიარა, რომ გემი აგროვებდა სამხედრო მნიშვნელობის სხვადასხვა მონაცემებს.

ჩვენებაში, რომელიც გავრცელა კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ, ჰამონდმა განაცხადა: „ზომალდი, რომელიც მიმოდიოდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ, აგროვებდა ინფორმაციას კომუნიკაციების შესახებ, ფოტოსურათებს უღებდა სამხედრო ობიექტებს ზღვაში და ხმელეთზე... ჩხოჭინის, სოხჭინის, მაინდოს კუნძულისა და ვონსანის რაიონში ვიუერდით და ფირზე ვიწერდით კორეის სახალხო არმიის სამხედროთა, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების სხვადასხვა რადიოგადაცემას“.

„გულწრფელად ვაღიარებ, რომ „პუებლოს“ შეჭრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში და ჩემი სჯაშუშო საქმიანობა ადი ნანაშაულია კორეელი ხალხის წინააღმდეგ“, — თქვა ჰამონდმა.

გაუძნელა სწავლის ქირა

ბრაზავილი. კონშასის კონგოს მთავრობამ მიიღო გადწყვეტილება, რომ ამ ქვეყნის ყველა დაწყებითსა და საშუალო სკოლაში გააუქმოს სწავლის ქირა.

(საკდესი).

ინგლისელთა ცხოვრების დონეს

ლონდონი, 12 თებერვალი. (საკდესი). რაც უფრო ახლოვდება ინგლისის მრეგი საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამოცხადების დღე, მით უფრო მკაფიოდ ჩანს იმის ნიშნები, რომ ინგლისელთა ცხოვრების დონეზე ახალმა შეტევამ თავისი ოდენობით შესაძლოა ყველა წინასწარმეტყველებას გადააჭარბოს.

ფინანსთა მინისტრმა ჯენკინსმა დანიშნა პირველი მოსამზადებელი შეხვედრა პარლამენტის ლეიბორისტ წევრებთან გადასახადების საკითხის განსახილველად. როგორც „მორნინგ სტარი“ წერს, ამ შეხვედრაზე, რომელიც ამ კვირის დამდეგსაა გათვალისწინებული, ჯენკინსს განზრახული აქვს ლეიბორისტ დეპუტატებს გააცნოს წინადადებანი გადასახადების გადიდების შესახებ, რომლებიც ახალ ბიუჯეტშია გათვალისწინებული, და ამავე დროს გააფრთხილოს, რომ წინააღმდეგობა არ გაუწიონ. ასეთი გაფრთხილება იქნება ის, რომ გაახსენებენ, თუ როგორ დაისაჯა ოცამდე პირველი პარლამენტარი, რომლებიც თვის ბოლომდე ჩამოშორეს ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის საქმიანობას იმისათვის, რომ თავი შეიკავეს, როცა პარლამენტში კენჭს უყრიდნენ მთავრობის ეკონომიის პროგრამას.

პარლამენტარებთან შეხვედრის შემდეგ 21 თებერვალს გაიმართება თათბირი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებთან, რომლებიც ლონდონში ჩამოდიან, რათა მოისმინონ ინგლისის მთავრობის ანგარიში ეკონომიური საქმიანობის შესახებ. საველუტო ფონდისაგან ასეთ „ბალური“ დამოკიდებულებაში ინგლისის მთავრობამ თავი ჩიგდო იმის გამო, რომ სთხოვეს სესხი და სამაგიეროდ დაპირდა რეგულარულად შეატყობინოს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს თავისი საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის ლიკვიდაციისათვის. ლონდონის შეხვედრაზე ფონდის ხელმძღვანელებს მოახსენებენ სოციალური საჭიროებისათვის ხარჯების შემცირების მთავრობის პროგრამის პირველ შედეგებს და დასაბეჭდ შედგომ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა დაკმაყოფილონ ფინანსური მაგნატები.

„ფაინენშლ ტაიმსი“ წერს, რომ ფინანსთა მინისტრს ანგარიში აქვს კიდევ ერთი წლით მთლიანად გაყინოს ხელფასი.

სპილოების შემოსევა

ბამაკო. სამხრეთ-აღმოსავლეთ განის სოფელ ბრონგ აკაფოს ამას წინათ გარეული სპილოების დიდი ჯოგი შეესია. სპილოებმა მოსპეს კაკათი დატვირთული გასაგზავნად გამზადებული 30 ტონა.

ამ სოფლის მამასახლისი გაზეთ „განიან ტაიმსის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში ბრალს დებს ხელისუფალთ იმაში, რომ ისინი არ ილებენ ზომებს გარეული ცხოველებისაგან გლეხთა დასაცავად. მრავალი გლეხი სპილოების შიშით თავის შლანტაციებს ტოვებს. ამ ბოლო დროს სპილოები ისე მომრავლდნენ, რომ ზოგჯერ აღარ ყოფნით საკვები ჯუნგლებში და თავს ესხმიან გლეხთა შლანტაციებს.

საუკთესო ცხოვრება

ინგლისი

ლონდონი. მთლიანად შეწყდა „მუშაობა ველიკის (ლონდონის ახლოს) ელექტროტექნიკური ქარხნის სამმეროებში. ეს ქარხანა ეკუთვნის „უზარმაზარ „ელიად ელექტრიკულ ინდასტრისის“ კონცერნს. ამ ქარხნის 5.500 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა. ისინი პროტესტს აცხადებენ ადმინისტრაციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ადმინისტრაციას სურს დახუროს საწარმო „არარენტაბელობის“ საბაბით.

შრომის უფლებისათვის მებრძოლმა გაფიცულმა მუშებმა კონცერნის სხვა საწარმოთა მუშებთან ერთად მოაწყეს მასობრივი დემონსტრაცია და მიტინგი.

„ელიად ელექტრიკულ ინდასტრისის“ კონცერნი მარშან შეიქმნა ორი კომპანიის შეერთების შედეგად. მათმა მოგებამ 1967 წელს 26 მილიონ ვირვანტა სტერლინგს გადააჭარბა. კონცერნი აპირებს წელს კიდევ მეტი მოგება მიიღოს. ამ მიზნით მან შეიმუშავა თავის საწარმოთა „რეორგანიზაციის“ გეგმა, რომლის შესაბამისად გადაწყდა სწორედ ველიკის ქარხნის დახურვა.

გფრ

ბონი. კაფიცვა გამოაცხადა მიუნპაიმის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მანქანათსაშენებელი ქარხანა „კლარკის“ 200 მუშამ. როგორც გაზეთი „ნოიე რაინეიტუნგი“ წერს, გაფიცვა გამოცხადდა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ადმინისტრაცია აპირებს დაითხოვოს მუშების ნაწილი.

თურქეთი

სტამბოლი. გაფიცვა დაიწყო ერეგლის (თურქეთის შავი ზღვის სანაპირო) ქვანახშირის აუზის დაახლოებით 25 ათასმა მეშახტემ. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და კოლექტიური ხელშეკრულების დადებას.

როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, გაფიცვამ ფართო მასშტაბი მიიღო. გაფიცვაში მონაწილეობს ამ რაიონის შახტებში დასაქმებული ყველა მეშახტის ნახევარზე მეტი. გაფიცვასთან დაკავშირებით პოლიცია და ჟანდარმერია სპრძოლოდ არიან გამზადებული.

ანკარა. მდგომარეობა ერეგლის ქვანახშირის აუზში, სადაც გაფიცულია 25 ათასამდე თურქი მეშახტე, გამწვავდა. ეს, როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, ყველაზე დიდი გაფიცვაა.

პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზის გრანატები, რათა გაერეკა მეშახტეთა მრავალათასიანი მიტინგი, რომლებიც შეიკრიბნენ ერეგლის ცენტრალურ მოედანზე საგუბერნატოროს შენობის წინ.

თურქეთის პრემიერ-მინისტრ დემირელთან გამართული თათბირის შემდეგ, შინაგან საქმეთა, შრომის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრები გაემგზავრნენ ერეგლში.

(საკდესი).

ვიეტნამელ ბარიკადიერთა ბრძოლა

ბრძოლა ბანკოკში

ბრძოლა ბოლივიაში

ბრძოლა ბერლინში

ბრძოლა ბელგიაში

ბრძოლა ბრაზილიაში

ბრძოლა ბურმაში

ბრძოლა ბულგარეთში

ბრძოლა ბუენოს-აირესში

ბრძოლა ბაღდადში

ბრძოლა ბიზონტში

ბრძოლა ბეიბოლში

ბრძოლა ბეიბოლში

ბრძოლა ბეიბოლ

ფაუნა ჩვენი ბუნების საუნჯეა

სახალხო, საშვილიშვილო საქმე

ბუნების ტრფიალი

ბუნების დაცვას და გამდიდრებას, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებას უდიდესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანთა კეთილდღეობა, მათი მომავალი დიდად არის დამოკიდებული ბუნებაზე.

ისტორიამ შემოგვინახა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დეკრეტები და დადგენილებები, რომლებიც გამოიცა ლენინის ხელმოწერით ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში — „ტყეების დაცვის", „ნადირობის წესებისა და სამონადირეო თოფის ტარების", „სახრახნის ნაარაკალის ჩამოყალიბების შესახებ".

ამ დოკუმენტებში მოცემულია ძირითადი პრინციპები და მიმართულება, რომლებიც მოგვიწოდებენ გავუფრთხილდეთ, განვავითაროთ და გავამდიდროთ შშობლიური ბუნება.

ცნობილია, რომ წარსულში საქართველოში უხვად მოიპოვებოდა სასარგებლო ნადირ-ფრინველი. ჩვენ შემონახული გვაქვს ძველი ფოტოალბომები, სადაც ილustრირებულია საქართველოში ჩატარებული ნადირობის მრავალი ეპიზოდი.

მაგალითად, ყარაიის ჭალაში თურმე ერთი მორეკვის შედეგად მოინადირებდნენ 50-60 გარეულ ღორს, 30-მდე ირემს და მრავალ სხვა ნადირ-ფრინველს. ასეთი უხვი ნადავლით მთავრდებოდა ნადირობა აგრეთვე ალაზნის ნაპირებზე, ბორჯომის ტყეებში, ბორჩალოს მიდამოებში და სხვაგან.

ნათქვამია, „ზღვა კოვზით დაილიაო. და აი, ერთი მხრივ ტყეების გაჩეხვამ და ბუნებრივი ლანდშაფტების მოშლამ საგრძნობლად შეამცირა ნადირ-ფრინველის განლაგების, მისი გავრცელების არეალი, ხოლო მეორე მხრივ აღვირახსნილმა ნადირობამ, სანადირო წესების, ვადების და ნორმების უხეშმა დარღვევამ დიდი, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენს ფაუნას. მთლად მოისპო ისეთი შესანიშნავი ცხოველები, როგორიც არის ზებრი, ჟირაფი, ნიამორი, მოსპობის პირზე იყო მისული კურდღელი, ხოხობი, აღარსად ჩანდა დურაჯი და ვნოლი.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ადრე მონადირეთა კავშირის ხაზით არ იყო მოწყობილი არც ერთი სამონადირეო მეურნეობა, არ აშენებულა არც ერთი სამონადირეო სახლი, ე. ი. არ არსებობდა კერა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სასარგებლო ნადირ-ფრინველს გამრავლება და შემდგომი გავრცელება.

„მონკავშირმა" გაითვალისწინა ყოველივე ეს და უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ადგილობრივ მონადირეთა საზოგადოებების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებითა და ხელშეწყობით შექმნა ხანგრძლივი სამონადირეო მეურნეობები ბურჯაანის, თელავის, წითელწყაროს, სიღნაღის, ახმეტის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, დუშეთის, ახალციხის, გორის, ორჯონიკიძის, ცხინვალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ლანჩხუთის და სხვა რაიონებში.

ამრიგად, მოწყობილია სულ ოცდაერთი სამონადირეო მეურნეობა, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 140.000 ჰექტარს, აშენებულია მონადირეთა 20 კეთილმოწყობილი სახლი.

საჩვენებელ სამონადირეო მეურნეობებში დაცვითი და ბიოტექნიკური ღონისძიებების თანმიმდევრობით გატარების შედეგად კარგად გამრავლდა ფეხელი, არჩვი, გარეული ღორი, კურდღელი, ხოხობი და სხვა სასარგებლო ნადირ-ფრინველი. ხოხობი, რომელიც გადაშენების პირზე იყო მისული, ახლა ჩვენს მეურნეობაში ასობით და ათასობით მოიპოვება, ასევე ირემის შველზე, არჩვზე და ზოგიერთ სხვა ნადირ-ფრინველზე.

იმ მიზნით, რომ დაგვეჩქარებინა სასარგებლო ნადირ-ფრინველის აღდგენა, საქართველოს „მონკავშირმა" გაატარა აკლიმატიზაციისა და რეაკლიმატიზაციის მთელი რიგი ღონისძიებები. მაგალითად, სხვადასხვა დროს სამონადირეო მეურნეობებში გაშვებულ იქნა: გარეული ღორი, ფეხელი, ირემი, გნოლი, კაკაბი, კურდღელი, ხოხობი. ასეთი ღონისძიება მომავალშიც განხორციელდება საჭიროების მიხედვით, რითაც გადაიჭრება ყველაზე ძვირფასი სახის ნადირის მასობრივი გამრავლების ამოცანა.

ამჟამად ბევრგან საჩვენებელი მეურნეობები საკმაოდ კარგად არის მოწყობილი.

ამ მხრივ სანიმუშოა ჭიაურის (სიღნაღის რაიონი) და ინაბოტის (გურჯაანის რაიონი) სამონადირეო მეურნეობები.

ჭიაურის მეურნეობა, რომელიც 1962 წელს ჩამოყალიბდა, მოიცავს 7.000 ჰექტარ ფართობს. აქ კარგად არის გავრცელებული ხოხობი (6 ათასამდე), კურდღელი, გარეული ღორი, მცირე რაოდენობით მოიპოვება ირემი და ფეხელი. გადამფრენი ფრინველიდან უმთავრესად გვხვდება იხვი, ტყის ქათამი, მწყერი, პერიოდულად ეწყობა ნადირობა ლიცენზიებით. გასულ წელს აქ მოპოვებულ იქნა 160-ზე მეტი ხოხობი და ზოგიერთი სხვა სასარგებლო ნადირ-ფრინველი. ხოხბების საბუდრად შემოღობილია 50 ჰექტარი ფართობი. აშენებულია სამონადირეო სტილით მოწყობილი ორსართულიანი სახლი, რომელიც უზრუნველყოფილია ელექტროგენერატორი და ცენტრალური გათბობით.

„ინაბოტის" სამონადირეო მეურნეობა 1965 წელს დაარსდა. საერთო ფართობი შეადგენს 3 ათას ჰექტარს. აქ კარგად გამრავლდა ხოხობი და კურდღელი. მარტო წელს მეურნეობაში გაშვებულ იქნა 9 გარეული ღორი. ზამთარში აქ დიდი რაოდენობით გვხვდება ქედანი და იხვი. გარეული ღორის სანაშენოდ შემოღობილია 130 ჰექტარი ფართობი. აშენებულია ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი. კარმიდამო დამშვენებულია დეკორატიული ხეებით, ამოღებულია არტეზიული ჭა, მოწყობილია ტბა, სადაც გედები დაცურავენ, კარმიდამოს ამშვენებენ ფარშევანგები, ციცრები.

საჩვენებელი სამონადირეო მეურნეობები დასვენებისა და გართობის შესანიშნავ ადგილებს წარმოადგენენ. მონადირეს შეუძლია სალიცენზიო წესის დაცვით თავის დროზე შევიდეს მეურნეობაში, გამოიყენოს თოფი, ფოტოაპარატი, მხატვრის ფუნჯი, დაისვენოს, მიეღოს სპორტული და ემოციური სიამოვნება და ახალი ენერგიით დაუბრუნდეს თავის სამუშაოს.

„მონკავშირის" პრეზიდიუმს და მის ადგილობრივ ორგანოებს სამონადირეო მეურნეობების შექმნის, ფაუნის აღდგენისა და კვლავწარმოების საქმეში დიდ დახმარებას უწევენ რიგი პარტიის რაიკომები და აღმასკომები (გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, წალენჯიხა, წითელწყარო, ლაგოდეხი).

ის, რაც დღემდე ბაკეთდა, ცოტაა იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს მომავალში. იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მონადირეთა მზარღი სპორტული მოთხოვნილება, მონადირეთა თვითეულ რაიონულ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ერთი ან ორი კარგად მოწყობილი საჩვენებელი სამონადირეო მეურნეობა და ამავე დროს ენერგიული ზომები გაატაროს მიწერილი სამონადირეო მეურნეობის საზოგადოებრივ საწყისებზე მოსაწყობად. ცხადია, ეს უნდა გაკეთდეს მონადირეთა აქტიური მონაწილეობით.

მონადირეთა კავშირის მთავარი ყურადღება ამჟამად მიმართულია სადირექტივო ორგანოების დადგენილების განხორციელებისაკენ, რომელიც შეეხება საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებას. მაგალითად, ადგილზე დახმარებისათვის გაიგზავნენ პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები. ყველა რაიონში მოეწყო სამონადირეო სავარგულების აღრიცხვა. წინასწარი დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად სულ საქართველოში აღრიცხულია ორი მილიონ სამოცი ათასი ჰექტარი სამონადირეო ფართობი. ცალკეული რაიონების მიხედვით შედგენილია სპეციალური რუკები. რაიაღმასკომებმა გამოიტანეს დადგენილებები სამონადირეო ფართობის მონადირეთა საზოგადოებებზე მიმაგრების შესახებ.

მონადირეთა პირველადი კოლექტივები, რომელთა რიცხვი 900-მდეა, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მუშაობენ და მიწერილ მეურნეობებს საჭირო მოვლა-პატრონობას ვერ უწევენ, სუსტად ახორციელებენ დაცვას და ბიოტექნიკურ ღონისძიებებს, სათანადოდ არ იბრძვიან ბრაკონიერების წინააღმდეგ.

ძვირფასი ფაუნის, კერძოდ ხოხბის და გნოლის გამრავლების და გავრცელების საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ამისათვის მათ ყველა პირობა აქვთ. მათ ხელშია ტყე, მიწა, საკვები ბაზა, დაცვისათვის შეუძლიათ გამოიყენონ მწყემსები, მეველეები, პენსიონერები. ასე რომ ფაუნის გამრავლების, დაცვისა და ბიოტექნიკური ღონისძიებების გატარებისათვის არ დასჭირდებათ სპეციალური ხარჯების გაწევა, ამავე დროს ეს მეურნეობებს დიდ სარგებლობას მოუტანს, დამატებით შემოსავალს მისცემს მათ.

ამიტომ არის, რომ სადირექტივო ორგანოების დადგენილებაში აღნიშნულია:

„იმასთან დაკავშირებით, რომ ხოხობსა და გნოლს დიდი სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის, — სოფლის მეურნეობის მაკნეგლების წინააღმდეგ ბრძოლაში, სასოფლო-სამეურნეო და სამონადირეო მეურნეობის წინაშე დაისახოს ამოცანა — მასობრივად გაავრცელონ და გაამრავლონ ეს ფრინველი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე და მათი ბინადრობის ადგილებში".

სამწუხაროდ, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ.

ცუდი არ იქნებოდა, თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაერევა ამ საქმეში და ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუწესებს გნოლისა და ხოხბის მოშენების ნაკალდებულო გეგმებს.

როგორც ცნობილია, მდინარის პირას განლაგებული ჭალები მეტად ხელსაყრელ ბუნებრივ ლანდშაფტებს წარმოადგენენ სასარგებლო ნადირ-ფრინველის ინტენსიური განვითარებისა და კვლავწარმოებისათვის. განსაკუთრებით ზამთრობით, როცა ტყით შემოსილი მთები თოვლით იფარება, იუნება და საკვები ილევა, მთელი ნადირ-ფრინველი — ირემი, ფეხელი, გარეული ღორი, ქედანი ჭალებს მიაშურებს და იქ პოულობს თავშესაფარსა და საკვებს. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მონადირეთა კავშირმა საჩვენებელი სანადირო მეურნეობების მოწყობა წარმატებით განახორციელა პირველ რიგში მდინარისპირა ტყეჭალებში.

განადგურების პირზე მიყვანილი გარეული ღორი, კურდღელი, განსაკუთრებით ჩვენი ბუნების მშვენება და ლაზათი — ხოხობი ამის შედეგად ჭალებში საგრძნობლად გამრავლდა. ამჟამად იგი ასობით და ათასობით არის გავრცელებული ალაზნის, ენგურის, რიონისა და სხვა მდინარეთა ჭალებში. ამიტომ არის, რომ ჩვენ, მონადირეთა საზოგადოებები დიდ სინანულსა და აღფოთებას გამოვთქვამთ, როცა ჩვენს თვალწინ იჩეხება და კატასტროფულად მცირდება ჭალები, რომლებიც მდინარეებთან ერთად ქმნიან ჩვენი ბუნების წარმტაც პეიზაჟებს.

ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გურჯაანის რაიონის „ლელის" სანადირო მეურნეობაში, სადაც ათასობით ხოხობი მოგაშენეთ, ათასამდე ჰექტარი ტყე და ბუჩქნარი გაჩეხეს და გადახნეს, ცოტაოდენი ტყე კიდევ დარჩა და ისიც ჩანგდება.

სიღნაღის რაიონის ჭიაურის მეურნეობაში ეკვეთა ჰექტარამდე ტყე და ბუჩქნარი ისე ამოძირკვეს, რომ მცირედი წარაფებიც კი არ დაუტოვებიათ ხოხბის თავშესაფრად. ასეთივე მდგომარეობაა ლაგოდეხის ზუგდიდის, ცხაკაიასა და ზოგიერთი სხვა რაიონის ზონებში.

თუ ასე გაგრძელდა, ალბათ უახლოეს წლებში ჩვენი ჭალები განადგურების პირას მივა. ეს კი ცხადია, არასასურველ გავლენას მოახდენს ჰავაზე, მდინარეთა დებიტზე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალსა და ნადირ-ფრინველის გამრავლებაზე.

საკმარისი არ არის მოვაწყოთ სამონადირეო მეურნეობა და უზრუნველვყოთ მისი დაცვა. მთავარია მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ამიტომ თვითეულ სამონადირეო მეურნეობაში იგეგმება შესაფერისი ბიოტექნიკური ღონისძიებანი ფაუნის სახეობათა ბიოლოგიური თავისებურებისა და ეკოლოგიის მიხედვით. ბუნებრივი საკვების ნაკლებობა, როგორც წესი, იწვევს ნადირ-ფრინველის გადაადგილებას, და სამონადირეო მეურნეობაში კატასტროფულად მცირდება მისი რაოდენობა. გასულ წელს „მონკავშირმა" საჭირო საკვები ბაზის შექმნისათვის 8 ათასი მანეთი დახარჯა. დაახლოებით ამდენსავეს დახარჯავს წელსაც.

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სამონადირეო დარგი ორგანულად არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული. ისინი ერთიმეორეს კი არ უნდა უშლიდნენ ხელს, არამედ ეხმარებოდნენ ურთიერთს, სრულყოფდნენ მუშაობას და ჰარმონიულად ვითარდებოდნენ. როცა რაიმე ღონისძიება ტარდება სოფლის მეურნეობაში ან სატყეო მეურნეობის ხაზით, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სასარგებლო ნადირ-ფრინველის მოვლა-მოშენების საქმეც.

ფაუნის ნორმალურ განვითარებას დიდად უშლიან ხელს ბრაკონიერები. მართალია, მათთან ბრძოლა ერთგვარად გაძლიერდა და ზოგიერთ სანადირო მეურნეობაში ბრაკონიერობას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი აქვს, მაგრამ ბუნების მძარცველები კიდევ მრავლად არიან და ისინი დაუზოგავად ანადგურებენ ჩვენს ფაუნას. მარტო გასულ წელს გამოვლინდა 1000-მდე ბრაკონიერი, ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის შენელება. ბრაკონიერი ბუნების მტერია, სახალხო ქონების ქურდი და გამფლანგველი. ბრაკონიერის წინააღმდეგ უნდა შეეკმნათ საზოგადოებრივი შეუწყნარებლობის ატმოსფერო. არცერთი ბრაკონიერი არ უნდა დარჩეს გამოუმეღავნებელი და დაუსჯელი. ზოგიერთი მონადირეთა რაიონული საზოგადოება კი ამ მხრივ უმოქმედობას იჩენს. მაგალითად, გასულ წელს ბოლნისის, მცხეთის, ხობის და გეგეჭკორის რაიონებში გამოვლინებული არ ყოფილა არც ერთი ბრაკონიერი.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ დიდი დახმარება აღმოგვიჩინა და ბევრ ბრაკონიერს ჩამოართვა თოფები. ამას წინათ სამინისტრომ გაფართოებული კოლეგია ჩაატარა ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ცხადია, ეს პირველი სერიოზული ნაბიჯებია ბრაკონიერთა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ამ მიმართულებით მიღებული იქნება კიდევ უფრო გადამჭრელი ზომები.

ახლა ჩვენ წინაშე დგას ძნელი, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა: მთელი ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ სამონადირეო მეურნეობების ფართო მასშტაბით მოწყობას, უახლოეს წლებში გადაჭრით გავადიდოთ სასარგებლო ნადირ-ფრინველის სიმჭიდროვე რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე იმ ანგარიშით, რომ სამონადირეო მეურნეობაში, სპორტული მიზნის გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რესპუბლიკის ხორცით და ნედლეულით მომარაგების საქმეში.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს მთელი რიგი საკითხების მეცნიერული სიზუსტით დამუშავებას. შესასწავლია სამონადირეო მეურნეობის ეკონომიკა, ფაუნის კვლავწარმოება, აღსარიცხავია ნადირ-ფრინველი, შესადგენია საქართველოს ზოოლოგიური რუკა, დასადგენია აკლიმატიზაციის და რეაკლიმატიზაციის რეჟიმი და ა. შ.

რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს ჩვენი მეცნიერების ჩარევას, მათს დაკვირვებას და საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას.

ბუნება თავისი მდიდარი მრავალფეროვნებით მწერლისათვის წარმოადგენს შესანიშნავ მასალას მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად. სამონადირეო მეურნეობის შემდგომი განვითარება, სასარგებლო ნადირ-ფრინველის გამრავლება, ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა დიდი ეროვნული საქმეა. იმედია, ჩვენი მწერლები თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში ფართოდ ასახავენ საქართველოს შესანიშნავი ფლორისა და ფაუნის დაცვის, მოვლა-პატრონობის, მისი შემდგომი განვითარებისა და ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის საჭირბოროტო საკითხებს.

ჩვენ ყველა პირობა გაგვაჩნია ფაუნის განვითარებისათვის, ოღონდ საჭიროა ყველა ჩვენგანმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მთელმა ჩვენმა საზოგადოებრივობამ თავის ღვიძლ საქმედ მიიჩნიონ საქართველოს სამონადირეო მეურნეობის აღორძინება.

ჩვენი დიდა ბუნების დაცვა და მოვლა-პატრონობა უნდა გადავაქციოთ ნამდვილ სახალხო საქმედ.

ს. როსტიაშვილი,

საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — მონადირის სახლი გურჯაანის რაიონის ინაბოტის სამონადირეო მეურნეობაში; ზემოთ — ალაზნის ჭალა.

ფოტო ს. კილაძისა.

რედაქციისაგან

ჩვენს მკითხველებს

დღეს „კომუნისტის" პირველ და მესამე გვერდებზე იბეჭდება სტატიები დიდი სახალხო, საშვილიშვილო საქმის — საქართველოს ბუნების საუნჯის — ფაუნის დაცვის შესახებ.

რედაქცია თხოვს ჩვენს მკითხველებს — ჩვენს მეცნიერებს, მწერლებს, კულტურის მოღვაწეებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, სამეურნეო და კომკავშირულ მუშაკებს — ყველას, ვისაც ჩვენი ბუნება უყვარს — ფართოდ გამოეხმაურონ ამ სტატიებში დასმულ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, მოგვაწოდონ წერილები, თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი ჩვენი ფაუნის მდგომარეობის მტკივნეულ თემებზე.

საქართველოს ბუნებას მრავალი მტერი ჰყავდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ბარბაროსი მტრები შემოესეოდნენ ჩვენს ქვეყანას, ხანძარს გაუჩენდნენ ჩვენს ტყეებს, ამოუფუძავდნენ მათში ბინადარ ნადირსა და გარეულ ფრინველს.

არანაკლები ზიანი მიაყენეს ნადირსა და გარეულ ფრინველს ჩვენმა უგუნურმა თავადებმა და აზნაურებმა. ვახუშტი ბაგრატიონს აღწერილი აქვს, თუ რა უმოწყალოდ შემუსრავდნენ ისინი, ყარაიის, ტაშირის, ლორეს ტყეებში ბინადარ ირმებს, შვლებს, ჯეირნებსა და ჯიხვებს.

ახალ დროში თითქოს უფრო შეგნებულ ადამიანებს უნდა აეღოთ სანადირო თოფი ხელში. მონადირეთა მთელ პოლკებს დაურიგეს სანადირო თოფები. ეს ვაკაცები დინამიტსაც მარჯვედ ხმაროდნენ. ბადითა და ანკესით ნადირობაზე ხელი აიღეს და დინამიტებით მუსრავდწენ როგორც დიდ თევზს, ისე ლიფსიტებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ საგანგებო კანონები გამოსცეს ტყეების, ნადირისა და თევზის შემუსვრის წინააღმდეგ, მაგრამ საუბედუროდ ბრაკონიერები და ტყეთა მტრები არ ისვენებენ.

მთავრობის ეს კეთილშობილური დადგენილება მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ყოველი ჩვენგანი თვალ-ყურს არ წაატანს მის შესრულებას.

სოფლად და ქალაქად გვყავს მრავალი ათასი ინჟინერი, მასწავლებელი, აგრონომი, ექიმი... მომავალში ეს კეთილშობილური დადგენილება მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ყოველი ჩვენგანი თვალ-ყურს არ წაატანს მის შესრულებას.

სოფლად და ქალაქად გვყავს მრავალი ათასი ინჟინერი, მასწავლებელი, აგრონომი, ექიმი... შემძრა მისმა საცოდაობამ, იმ დღიდან ტყვია არ მისვრია შვლისთვის.

თევზაობაც მიყვარს, მაგრამ მხოლოდ ბადითა და ანკესით მითევზავნია.

ქართველ ხალხს სიმღერებიც აქვს გარეულ ფრინველთა საქებრად შეთხზული.

მწერალი—ბუნების ქომაგი

ტოროლას მაინც არ მოვკლავ...

□ □

კონსტანტინე გამსახურდია,

მწერალი-აკადემიკოსი.

„ტოროლას მაინც არ
მოვკლავ,
ბევრიც რომ მჭირდეს
წამალი,
საწყალი ღამის მეზრისა,
ის არის კარგი მამალი".

ზოგიერთი უგუნური მონადირე არც ტოროლას ზოგავს.

ბუნებაში არაფერია ზედმეტი. ყველა რომ ყვავია, ისიც იცავს ჩვენს ყანებს მღრღნელებისაგან.

მე ასე მგონია, რომ მელაც ჩვენი მინდვრების სანიტარია. იგი უმოწყალოდ მუსრავს ვირთაგვებსა და თაგვებს. მელიამ ქათამს იპარავსო. ოჯახის კაცმა გააკეთოს კარგი საქათმე და ფხიზელი ძაღლი იყოლიოს. მელიაც უვნებელი გახდება.

ერთადერთი ნადირი, რომელსაც ბრაკონიერები ვერაფერს უხერხებენ, ეს არის ჯიხვი, რომელსაც ჯერ კიდევ იცავს კავკასიონის ბასტიონები.

რა თქმა უნდა, ბრაკონიერებს თუ დავურიგეთ ავტომატები, კავკასიონიც ვერ უშველის ამ მშვენებას ჩვენი მთებისას.

მაშ, ვიბრძოლოთ დიდმა და მცირემ ჩვენი ტყეების, ამ ტყეთა მკვიდრი ნადირისა და ფრინველის დასაცავად.

მხარი დავუჭიროთ ჩვენი მთავრობის გონივრულ მითითებათა ცხოვრებაში გატარებას. დავიცვათ საქართველოს მშვენიერი ბუნება!

ბუნებაში ყოველი არსი საჭირო და აუცილებელია, ყოველი ნადირი ან ფრინველი მარცვალთაგანია მთლიანის ჯაჭვისა. გამოაგდებთ ამ მარცვალს და შეფერხდება სუნთქვა და მაჯისცემა.

არ უნდა დავუშვათ, რომ ზოგიერთი უგუნური ადამიანის მტრობით განადგურდეს ჩვენი ტყეები, გაიქუჩოს ნადირი და გარეული ფრინველი. ისე, ისე ნურც მომხდარიყოს, რომ ჩვენს მომავალ თაობას გარეული ცხოველები და თრინველი მხოლოდ ზოოლოგიურ პარკებში ენახოს.

ულმობლად ვებრძოლოთ საქართველოს ბუნების მშვენებათა მტრებს.

გაზეთი „მებრძოლი" ამცილებს

სროლის ხმა ქალაქში

ზამთარმა თეთრად მოხატა ჩვენი ქალაქი. შესანიშნავია მისი ყველა კუთხე. განსაკუთრებით ლამაზია ბოტანიკური ბაღი...

მაგრამ ზამთრის პეიზაჟის მყუდროებას არღვევს სროლის ხმა. საუკუნოვანი ხეების ტოტებიდან ცვივიან შაშვები, ბეღურები, ჩიტართვები. ისინი ხომ ამშვენებენ ჩვენს ბაღს. ტყე ხომ მკვდარია უფრინველოდ. ვინც ამას სჩადის, ის მონადირე კი არა, ბრაკონიერია!

გ. ლომიძე.
ჟ. ზუგდიდი.

□ □

ხალხს უთქვამს...

გახედეთ მაგა ჯიხვებსა

გახედეთ მაგა ჯიხვებსა, რა მშვენიერი დგანანი,
რქა გადუდგიათ რქაზედა, საბრილოგელზედ დგანანი.
უნდა გამოვლენ მწონეზედ, უნდა გრილოზედ დგანანი.

ეს მონადირემ

გაკადიღო

არა თოფით, არამედ ფოტოაპარატით

ყვარლის სატყეო-სამონადირეო მეურნეობა ლოპოტიდან ავანის ხეგამდე გადაჭიმული, არჩვთა ეს სამფიო, 57 ათას ჰექტარ ტყის მასივს აერთიანებს. ძნელია ერთ-ორ დღეში ამ ზღაპრული მხარის გაცნობა. მაგრამ თუ გვერდით ამ მეურნეობის დირექტორი შალვა იაშვილი და უფროსი ნადირობათმცოდნე ნოდარ ჩოხელი მოგყვებიან, სანძელოც არაფერი იქნება — ზეპირად იცავან საირმის გორისა და ყველა საჯიხვის ვიწროები.

მიუყვებით დურუჯის ხეობას

და ალაინინეგი ფეხდადფერ მოგვდევს. მასპინძლები საუბარს აგრძელებენ:

— ყვარლის სატყეო-სამონადირეო მეურნეობა ექვს სატყეოს აერთიანებს, აქედან ყვარლის სატყეო წმინდა სამონადირეო მეურნეობაა, დურუჯის სელური ღვარის მაგნეზგაკლენის აღსაკვეთად აქ ხის მოჭრა სასტიკად არის აკრძალული, — მეყვება შალვა იაშვილი და ამ სატყეოს უფროსის აკაკი სეფაშვილის კაიკაცობაზე სიტყვას თავის უმცროს თანამეზობარს ნოდარ ჩოხელს უთმობს.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აქ უნებართვო ჭრის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. სოცშეჯიბრებაში დურუჯელ მეტყევეებს მთისძირის სატყეოს კოლექტივი ჰყოლიათ გამოწვეული. საუბარი აღბათ ამ შეჯიბრებაზე გაგრძელდებოდა, მაგრამ „სამარილეებთან" ჯიხვების ჯგუფი შეენიშნეთ და ჩოხელმა „იარადი" მოიმარჯვა. თურმე ნუ იტყვით უებრო მონადირის ბოლო ხანებში აღარ იზიდავს თოფის ქუხილი. „ზორკის" ფოტობიექტივში „ჩაბღუჯა" ჯიხვები, და ბუნა განვაგრძეთ.

სიტყვა ბრაკონიერებზე ჩამოგვდა. თითო-ოროლა ველური ჩვენც შემოგვრჩაო, რისხვით ჩაიბუზუნა იაშვილმა. ასეთ უსინდისო ადამიანთა შორის მიხეილ ბაბოშვილი დაასახელა. ამას წინათ მისთვის თოფიც წაურთმევიათ და ნანადირეგიც. ახლა თურმე სასჯელს იხდის და ძალზე ნანობს ფეხბარდი კავკასიური კურდღლის მტრობას.

მონადირე კაცი რის მონადირეა, თუ საუბარში ორიოდე გუდა ტყეულიც არ შემოგასაღა, მაგრამ ფოტომონადირე ნოდარ ჩოხელი ამ მხრივაც გამონაკლისი აღმოჩნდა. მის მიერ ჩამოთვლილ სანადირო არეალებში ყველაფერთ დასტურდებოდა ამა თუ იმ ტყიურის არსებობა. გაგვიოცა თეთრი და შავი დურუჯის სათავეების დათვის, ირმის, ჯიხვისა და არჩვის სიმრავლეთ. ეს უკანასკნელი ბეგითის, ლახაჩის და სამურის ხეობებით გადმოსახლებულა. დაღეხტნის ნადირიანი მთებიდან. ბურსას ხეობაში „ხუხად იყო გარეული ღორის ნაკვალევი, ალაზნის ჭალებში კი საიმედოდ დასახლებულა ხოხობი და სანაშენოდ შემოყვანილი ამერიკული წაულა თითქმის მთლიანად გაუდევნეთ — რა კაცობაა გარეული მოვიდეს და შინაური გაადოსო.

მეორე დღე საამო საუბარში დაილია. შებინდებისას „ყვარლის ზღვასთან", აქ, სადაც მეტყევის უნიკალური სახლი შენდება, მონადირეული ცვლილის პირას დაკუბრუნდით ციფრებს.

100 ჰექტარის მაგიერ სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ბიჭებს შარშან 120 ჰექტარზე გაუშენებიათ ტყე.

განსაკუთრებული ზრუნვით გარემოცული კი ისევ და ისევ ბუნებრივი ფლორა და ფაუნა დარჩება, — ამბობს შალვა იაშვილი, — და გჯერა ამ კაცის ნათქვამი.

ჯ. რჩეულიშვილი,

„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

ნადირმცოდნეს, უებრო მონადირეს ნ. ჩოხელს დიდი ხანია თოფის ნაცვლად ფოტოაპარატი აქვს მომარჯვებული და ტყიდან ძვირფასი ნადავლით ბრუნდება. მის სახლში ახლა მრავალი ფოტოსურათი ინახება, რომლებზეც აღბეჭდილია ის ნადირ-ფრინველი, რომლებიც ყვარლის ტყეებში ბუდობენ ეს სურათები ნ. ჩოხელმა ამ რამდენიმე დღის წინათ გადაიღო — ზემოთ — ჯიხვები დურუჯის ხეობაში, შუაში — არჩვები საირმის გორაზე და ქვემოთ კავკასიური როგო დურუჯის სათავესთან.

ჩვენს ეკრანებზე

გვაცნობებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

ახალი ავტოსადგური

ამ დღეებში ზესტაფონში გაიხსნა ახალი ავტოსადგური. სადგურში არის ბუფეტი, დედათა და ბავშვთა ოთახი, ფურნალ-გაზეთების კიოსკი და სხვ.

ა. ფოცხვერაშვილი.

ახალმოსახლეობა იზვითეს

ახმეტა. დღითიდღე უმჯობესდება „ალაზანმშენის“ № 9 სამშენებლო სამმართველოს მუშათა საყოფაცხოვრებო მომსახურება. გასულ წელს სათავე ნაგებობაზე მომუშავეთათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა თორმეტბინიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კორპუსი. ამას წინათ არხმშენებლებმა კიდევ ერთი საერთო საცხოვრებელი მიიღეს.

ამჟამად შენდება და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამთავრდება ორი თორმეტბინიანი სახლი. წლის ბოლომდე არხმშენებლები კიდევ ორ ასეთ საცხოვრებელს მიიღებენ.

გ. ტერტერაშვილი.

საგასტროლოდ...

△ ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საგასტროლო მოგზაურობის წინ მაუურებლის წინაშე მრავალფეროვანი პროგრამით წარხდა თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი სიმფო-ჯაზი „ლალე“.

ქართველ, საბჭოთა და უცხოელ კომპოზიტორთა სიმღერები კარგად შეასრულეს ანსამბლის სოლისტებმა ნ. შარაშენიძემ, გ. ხეთაგურმა, ვ. ჩოკაშვილმა, ვ. ფერაძემ, ი. წიქორიძემ, ე. ბოკაევმა, კონცერტში მონაწილეობდნენ ავრეთვე ვოკალური ტრიო და კვარტეტი. პროგრამა მიჰყავდა ს. ჯაფარიძეს. მოწონება ხვდა „სიმფოჯაზს“ 20 მუსიკოსის შემადგენლობით, რომელსაც დოცენტი თ. ციციშვილი ხელმძღვანელობდა.

ბ. ალშიბაია.

△ ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სიმფონიისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი“ საგასტროლოდ გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებში. უკრაინის, ბელორუსიის, ლატვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის ქალაქებსა და სოფლებში „სიმდი“ 100-ზე მეტ კონცერტს გამართავს.

ანსამბლის პროგრამაშია საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებები, ცეკვები — „ქართული“, „სიმდი“, „ვინდაგან“, „მთიულური“.

△ ბოლნისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში დმანისის რაიონს ეწვია საკავშირო ფესტივალის ლაურეატი — ბოლნისის სახალხო თეატრი და მეზობელი რაიონის მშრომელებს უჩვენა მოლიერის პიესა „ძალად ეკიში“.

სახალხო თეატრს გათვალისწინებული აქვს ახლო მომავალში აღნიშნული დადგმა უჩვენოს მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონების მშრომელებს.

ეაღლობა და სიგელი ეოსკოვიდან

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ახლახან მოსკოვში გაიმართა ქორეოგრაფთა ერთთვიანი სემინარი, რომელშიც მონაწილეობდა ზესტაფონის სარაიონო კულტურის სახლის ქორეოგრაფი რ. აბრამიშვილი. იგი უანგაროდ დაეხმარა მოსკოვის თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კოლხიდას“.

ზესტაფონის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილებამ ამ დღეებში ქ. მოსკოვის ძერჟინსკის რაიაღმასკომის განათლების განყოფილებიდან და ბაბუშინსკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლიდან მიიღო ბარათი, სადაც აღნიშნულია:

„დიდ მადლობას გუძღვნით საკავშირო სემინარის მონაწილეს, ზესტაფონის სარაიონო კულტურის სახლის ქორეოგრაფს რევაზ ილიას-ძე აბრამიშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია მოსკოვის ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კოლხიდას“ ქართული ეროვნული ცეკვების დადგმაში“...

ქ. მოსკოვის ძერჟინსკის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილებამ რ. აბრამიშვილი ავრეთვე დაჯილდოვა ქების სიგელით.

საჩუქარი ნორჩებს

ამას წინათ ბაკურიანის წერეთლის მშობლიური სოფელი — სხვიტორის მცხოვრებლებმა მიიღეს ახალი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღის შენობა. სამ საადმზრდელო ჯგუფში 80-ადე ბავშვი იმყოფებიან. მომავალში ბაღს კიდევ ერთი საადმზრდელო ჯგუფი მოემატება.

ა. ბაბანაძე.

გენერალ მაპაც ადამიანებზე

● თიანეთი. ტყის სილრმეში ღორები თოვლს თხრიდნენ და წიფლის ნაყოფს ეძებდნენ. მწყემსი უშანგი ზარიძე თითქოს ტყის სიჩუმეს მინდობოდა. უცებ ნაგაზმა რაღაც იყნოსა და ტყის სილრმისაკენ გაექანა. მწყემსიც დაედევნა. წუთიც, და... მშიერი მგელი და ძაღლი ერთმანეთს შეებნენ. უშანგი ზარიძემ კომბალი მოიმარჯვა, ორჯერ ჩასცხო თავში მგელს და უსულოდ მიწაზე დასცა.

მამაცმა მწყემსმა ღორის კოლტი მტაცებლისაგან იხსნა.

მ. არაბული.

● საჩხერე. (საკ. კორ.). მაღალმთიანი სოფელია ჭალოვანი. აქაურ ტყეებში ბინადრობს ბეერი მტაცებელი ცხოველი, რომელებიც ზიანს აყენებენ მოსახლეობას. მტაცებლებზე ნადირობაში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მონადირემ ვახტანგ შუბითიძემ.

მან ბოლო ორ წელს მოკლა შვიდი მელა და ექვსი ტეტრა. ახალგაზრდა მონადირის ნადავლი იზრდება.

ჩვენი ბუნების საუნჯე

ამ სურათს რომ დახედავთ, რაღაც ნაცნობი და მშობლიური შემოგაშუქებთ. საქართველოს მთებზე და ხეობებში ბევრგან შეხვდებით ასეთ ხვდებს. ნურც იმას გაიკვირვებთ, თუ ნადირიც შემოგეფეთოთ.

ფოტორეპორტიორმა ო. თურქიამ ეს სურათი ზაფხულის ერთ მზიან დღეს ზეკარის უღელტეხილზე მგზავრობისას გადაიღო.

ბრენობლის თეთრი დღეები

ოქროსა და ვერცხლის ლიუდმილა

ბრენობლის სპორტულ ბაზებზე შეუპოვარი ბრძოლები არ ცხრება.

კვირას ჩვენმა სახელოვანმა მოციგურავემ, უკვე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლიუდმილა ტიტოვამ მორიგი გამარჯვება იზეიმა, ოქრის მედალს ვერცხლის მედალი მიუმატა—1.000 მეტრზე რბენაში მეორე ადგილი დაიკავა. მან აჩვენა დრო 1 წუთი და 32,9 წამი. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია. ამ დისტანციაზე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბარი გეისმენი (პოლანდია, 1 წუთი და 32,6 წამი). მესამე იყო ამერიკელი დ. კოლამი — 1.33,4. ე. მგბორშვამ მეხუთე ადგილი დაიკავა, ლ. კაუნისტემ — მეთერთმეტე.

ბობსლეიში (წყვილები) უძლიერესი იყვნენ იტალიელები — ე. მონტი და ლ. დე პაოლისი. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი დაიკავეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და რუმინელ ბობსლეისტთა წყვილებმა.

ფიგურულ მოციგურაობის წყვილების ასპარეზობაში საგალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდნენ მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა ოლიმპიურ ასპარეზობათა [illegible] ლ. ბელუსოვა და ო. პროტოპოპოვი. მეორე ადგილიც საბჭოთა წყვილებს ტ. ტუსს და ა. გორელიას უჭირავთ. ამ სახეობაში პრიზიორებს 14 თებერვალს გავეცნობით. ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში მსოფლიოს ჩემპიონს ამერიკელ პეგი ფლეშინგს ბადალი არ ჰყავდა. მეორე და მესამე ადგილზე გამოვიდნენ ბ. ზაიფერტი (გდრ) და ჰ. მაშკოვა (ჩეხოსლოვაკია). ე. შეიბლოვა მე-12 ადგილზე აღმოჩნდა, ბ. გრეიბოშსკაია — მეთექვსმეტეზე.

კვირას დამთავრდა ორეულიდელ მოთხილამურეთა ასპარეზობა. აქ პირველობა არავის დაუთმო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ფ. კელერმა — 449,04 ქულა. ა. კელინი (შვეიცარია) მეორე იყო — 447,94 ქულა, მესამე ადგილი დაიკავა ა. ბუნცმა (გდრ). რ. მაკარა (სსრ კავშირი) მეშვიდე ადგილზე გამოვიდა — 429,92 ქულა.

ჩეხოსლოვაკიის გუნდს პირველი ოქროს მედალი მოუტანა ი. რაშკევმ. მან გაიმარჯვა 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ა. ფეფლანოვი მეექვსე იყო, ვ. ბელუსოვი — მერვე.

გუშინ ოლიმპიადაზე

გუშინ ბრენობლის თეთრ ოლიმპიადაზე კიდევ რამდენიმე ოქროს მედალი გაკეთდა. 3.000 მეტრზე ჩქარბოლეტ ციგურაობაში ქალთა თვის ნინებულად გამოვიდა ჰოლანდიელი სპორტსმენი ა. სხუტი. მან დისტანცია გაირბინა 4 წუთსა და 56,2 წამში, და ახალი ოლიმპიური რეკორდი დამყარა. ა. სხუტს ოქრის მედალი გადაეცა. ვერცხლის პრიზიორი გახდა ფინელი კ. მუსტონენი, ბრინჯაოსი — მსოფლიოს ჩემპიონი ს. კაიზერი.

დიდი ლოდინის შემდეგ ოტრა-ნიდან სასიამოვნო ცნობა მივიღეთ. აქ ჩვენმა ბიატლონისტებმა ა. ტიხონოვამ და ვ. გუნდარცევამ ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ჩემპიონი გახდა ნორვეგიელი მ. სოლბერგი.

გუშინ დამთავრდა აგრეთვე შეჯიბრება სლალომ გიგანტში ვაჟთათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა **უან კლოდ კილი.**



სურათებზე: მარცხნივ — ოლიმპიური ასპარეზობის ორი მედლის მფლობელი ჩჰაროსნულ ციგურაობაში **ლიუდმილა ტიტოვა** ტრასაზე; მარჯვნივ — ქალთა შორის ფიგურულ ციგურაობაში გამარჯვებულები (მარცხნიდან) ბ. ზაიფერტი (გდრ), პ. ფლეშინგი (ამერიკის შეერთებული შტატები) და ჰ. მაშკოვა (ჩეხოსლოვაკია).

ოლიმპიადის აფიშა

13 თებერვალი

ოლიმპიადის მერვე დღე ფიგურისტ ვაჟთა ასპარეზობით (საგალდებულო პროგრამა) დაიწყება 10 საათზე თბილისის დროით. ამ დღის პროგრამაში შედის აგრეთვე სათხილამურო გადარბენა ქალთათვის 5 კილომეტრზე — 12 საათზე, სლალომი ქალთათვის — 15 საათზე, ჰოკეი — სსრ კავშირი-შვეიცარია — 20 საათზე, ბობსლოვაკია — 24 საათზე.

ეროვნული ნაკრებიდან

ეროვნული ნაკრებიდან მედლების — ბრონზის, ვერცხლის, ოქროს — [illegible] გაახლნეს

ირიბები მსოფლიოსა და ოლიმპიურ რეკორდებზე

ბოლოს ოქროს

„გურნიკი“ ქმაყოფილია...

ფეხბურთი

„ბურნიკი“ (ზაბეუ) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (1:1). თბილისი. 11 თებერვალი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ბ. ზვერევი (ლენინგრადი).

„ბურნიკი“ — კოსტკა (გომოლო), კუბტა, ოსლიზლო, ლატოხა, ფლორენსკა, დეია, ვილჩეკი, ოლეკი, მუსიალეკი (გორგონი), ლიუბანსკა, ლენტნერი (სკოვრონეკი); „დინამო“ — კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე (ცანთელაძე), შერვაშვილი, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ილიადი, მეტრეველი, ქორიძე, ქიქავა, მესხი (ლ. ნოდია).

ეს იყო სეზონის ადრეული საერთაშორისო შეხვედრა, რომელსაც ორივე გუნდისათვის უფრო წვრთნის ხასიათი ჰქონდა. „გურნიკს“ თებერვლის მიწურულში ჩემპიონთა თასზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩი მოელის, დინამოელები კი ენძელას თასის გათამაშებისათვის ემზადებიან.

რა თქმა უნდა, ორივე კოლექტივი საკმაოდ შორს არის თავისი საუკეთესო ფორმისაგან, მაგრამ მატჩს მაინც ვერ დავემდურებით. „გურნიკის“ ფეხბურთელები გამორჩევით დახვეწილი ტექნიკით, მოედანზე ისინი ბევრს მოძრაობენ და მოქმედებენ ჩინებული ურთიერთგაგებით. წინა ხაზებიდან უნდა გამოვყოთ დაუღალავი **ლიუბანსკი,** მცველებიდან **კუტა.**

თვალსაჩინო სიახლეა დინამოელთა თავდასხმაში, სადაც სპარბობს ახალგაზრდობა, დაცვაში კარგად გამოიჩინა თავი **ძოძუაშვილმა.** სწორედ მან ეფექტური რეიდის შემდეგ მე-4 წუთზე ანგარიში გახსნა. ასეთ დასწყისს პოლონელთა საბრძოლო განწყობილებაზე გავლენა არ მოუხდენია. მათ ტემპის მიწურულზე შეძლეს წონასწორობის აღდგენა. გოლის **ავტორი იყო ლენტნერი.**

მატჩები ბათუმსა და სოხუმში

მრავალი მაყურებელი ესწრებოდა ამბანაგურ მატჩს ბათუმში ადგილობრივ „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ჟუთაისში ტორპედოელებს მატჩი ჰქონდათ სოხუმში „ადგილობრივ“ დინამოსთან და გაიმარჯვეს 5:1.

„ტორპედო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: **კვასხვაძე, წივწივაძე, წვერავა, ებრალიძე, ლოსაბერიძე, ასტაშვილი, ხერხაძე, ვეკუა, ხუციშვილი, ხაჟალია, ჭითანავა.**

ეროვნული ჩემპიონატი

ბურთი ბადეში

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	4	4	0	0	36-3	8
ჩეხოსლოვაკია	4	4	0	0	24-8	8
კანადა	4	3	0	1	22-8	6
შვეიცარია	3	3	0	0	14-9	6
ფინეთი	3	1	0	2	8-14	2
აშშ	4	0	0	4	8-22	0
გფრ	4	0	0	4	7-25	0
გდრ	4	0	0	4	5-35	0

ეაუეარცხვეული საეული

ჰოკეისტთა ტურნირი გრენობლში ყველაზე პოპულარული გახდა. განსაკუთრებით მრავალი მაყურებელი ჰყავს მატჩებს სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცის გუნდების მონაწილეობით. ეს კოლექტივები ჯერჯერობით დაუმარცხებლად გამოდიან.

კვირას სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს და ადვილად დაამარცხა მეტოქე 9:1. მწვავე ბრძოლით გამოირჩეოდა კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდების მატჩი. კანადელებმა მხოლოდ მესამე პერიოდში შეძლეს თამაშის მოგება 3:2.

გუშინ შედგა მორიგი მატჩები. ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს გდრ-ის გუნდი 10:3. შვეიცარიამ და ფინეთის, აგრეთვე აშშ-სა და გფრ-ის გუნდების თამაში გაიმართა გვიან საღამოს.

აი როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი.

ეპოქალური

ეა ეიცალოთ, ეა ეოვისეილოთ

ეელოვნების ეაკადემია

ეა ეოვიდეთ

ეა ეოვიდეთ

ეა ეოვიდეთ